

განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე
„საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების
შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

პროექტის მიღების მიზეზი მდგომარეობს ახალი „საჯარო სამსახურის კოდექსის“ პროექტის შემუშავებით რაც იწვევს წარმოდგენილი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილებას.

ა.ბ) პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია „საჯარო სამსახურის კოდექსის“ პროექტთან ნორმების შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ნორმები, რომელიც მიუთითებენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონებზე, იცვლება „საჯარო სამსახურის კოდექსზე“ მიმთითებელი ნორმებით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები მდგომარეობს იმაში, რომ სოციალურად მეტად იქნება დაცული და უზრუნველყოფილი საჯარო მოსამსახურე.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

აღნიშნული პროექტი არ აწესებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობას.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ არის მიმართული ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

პროექტის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან და რიგ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილმა ექსპერტებმა, გაეროს განვითარების პროგრამამ და ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა.

დ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში: პროექტის მომზადების შემდეგ რამდენჯერმე გაიმართა საჯარო მოსმენა-განხილვა.

დ.გ) პროექტის ავტორი:

საჯარო სამსახურის ბიუროსთან შექმნილი ექსპერტ-სპეციალისტთა ჯგუფი.

დ.დ) პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.